საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 14079/01
29/12/2021

14079-01-2-202112292253

**შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“**

**მის:** ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N34, სართ. N6

**გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 9 დეკემბრის N22360 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ასპინძის მუნიციპალიტეტში, დაბა ასპინძაში, ვარძიის ქუჩაზე არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იქნა N23434 წერილი, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია. კერძოდ, ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ასფალტის/ბეტონის საფარი; ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების მიზნით არ არის განთავსებული შესაბამისი ურნები და ობიექტზე არ ხორციელდება შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების გარემოში მოხვედრის პრევენცია.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება მომზადებული უნდა იქნეს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

**დანართი: ტექსტის თანახმად.**

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე